



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. შეიცვალოს **7.1.16 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.1.16. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, **ბანკში კლიენტის** სახელზე კონკრეტული ფულადი თანხის ოდენობაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის დაფიქსირების შემთხვევაში და იმ შემთხვევაში თუ საჯარო სამართლებრივი შეზღუდვით განსაზღვრული თანხისთვის საკმარისი თანხის მოცულობა განთავსებულია **კლიენტის** სხვადასხვა **ანგარიშებზე** (ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მათ შორის ისეთ **ანგარიშზე**, რომელიც **კლიენტს** საკუთარ სახელზე გახსნილი აქვს **ბანკში** სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნობრიობით), მოახდინოს **კლიენტის** ერთ **ანგარიშზე** საჯარო სამართლებრივი შეზღუდვით განსაზღვრული თანხის სრული მოცულობის აკუმულირება, **კლიენტის** სხვა **ანგარიშ(ებ)იდან** (ყველა, რამდენიმე ან ერთი **ანგარიშიდან**) **კლიენტის** ერთ **ანგარიშზე** შესაბამისი თანხების გადარიცხვის გზით და მხოლოდ ამ **ანგარიშზე** გაავრცელოს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა.

2. შეიცვალოს **7.1.17 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.1.17. **კანონმდებლობის** შესაბამისად, დაბლოკოს/დაჯავშნოს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიში** ან/და **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** (ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მათ შორის ისეთი **ანგარიშიდანაც**, რომელიც **კლიენტს** საკუთარ სახელზე გახსნილი აქვს **ბანკში** სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნობრიობით), მათ შორის ნებისმიერი ტიპის დეპოზიტის **ანგარიშიდან**, უაქცეპტოდ/**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას ყველა ვალდებულება/გადასახდელი, ხოლო თუ ვალდებულება/გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს **კონვერტაცია** გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო **კონვერტაციის** მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ/**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭეროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი ვალდებულების/გადასახდელის დასაფარად. ვალდებულების/გადასახდელის სრულად შესრულებამდე, **ბანკი** უფლებამოსილია, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, განსაზღვროს საპროცენტო სარგებლის, **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** ან/და სხვა სახის ფინანსური ხარჯის ოდენობა, ან/და **კლიენტის ანგარიშზე** დაუშვას არასანქცირებული ლიმიტი;